# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 304. კვირა, 3 აპრილი 1905 წ. გაზეთის № 2788.


## სურათი

სიცივეს ლოჯი მოტყდა. აქა-იქ-ღა იყო გაფანტული ფერწასული თოვლი; რილოებს და სველ მიწას ოშხივარი ასდიოდა. სიცივისაგან მოგუზულ დედა-მიწას გული გადაეშალა და თავისუფლად სუნთქავდა. ამაყი მთები შებერტყილიყვნენ და მეტი ბარგი ღრიმში გადაეტყორცნათ. მზის სხივები დარეოდნენ ქვეყანას და ზამთრის სინსილას აწყობდნენ. უფსკრულშიც დადევნებოდნენ ზვავს. დაჟინებით დაშტერებოდნენ და თანდათან წყლად აქცევდნენ. აქა-იქ ჟვენავდა მთების მკერდიდან ტურტლიანი ნაკადული და იქვე სადღაც შერცხვენილი იმალებოდა.

უძალდებოდა უფსკრულში მოგროვილი ზვავი მზის სინათლეს, მაგრამ ამაოდ. თვითონვე ჰგრძნობდა, რომ ცოტა კიდევ და სხივები მას გააქარწყლებდა-გააქრობდა. გაყუჩებულნი მდინარენი ახმაურდნენ; თურმე ზამთარს არ მოუკლავს, მხოლოდ ზედა-პირი ყოფილა გაკმენდილი, თორემ სიცოცხლე და ძალა მას თავის სიღრმეში ჰქონია. შემოიგლიჯა ბორკილი, კალაპოტში აღარ დაეტია, გადმოხეთქა და აზვირთებულის გუგუნით წამოვიდა.

ბუნება გათბა. მაცოცხლებელმა სიომ დაჰბერა. მინდვრებს მწვანე ხავერდი გადაეკრა. ტყე აშრიალდა, ათამაშდა. ზამთრისაგან დაბეჩავებულს ფრინველს გული გაუთბა და გალობა მორთო. მხეცი, შინაური თუ გარეული პირუტყვი,— ყველა ერთად, თითქო შეთანხმებულანო, განთიადის პირველ სხივებს ტაშის კვრით და ვაშას ძახილით ეგებებიან.

გაზაფხულის დიდებულმა ძალამ იფეთქა, გამეფდა და ყველას სიცოცხლე აგრძნობინა. ისინიც კი, რომელთათვისაც ზამთარ-ზაფხული ერთი იყო, წამოლოღიალდნენ, ფეხის ხმას აჰყვნენ, ხმა ამოიღეს და საერთო ხმას შეუერთეს თავიანთი სუსტი ხმა. ზამთრისაგან კმაყოფილები გაბეცებულნი იდგნენ, პირ-გაღებულნი აქეთ-იქით იცქირებოდნენ და არ იცოდნენ, ეცინათ თუ ეტირათ. ყველა საერთო ფერხულში ჩაბმული გაზაფხულს გუნდრუკს უკმევდა და ზამთარს კრულვით და წყევლით იგონებდა.

მოწმენდილს ცაზე მზე თამაშობდა. მის სხივებს ცის კამარა შეეღებნა სხვა და სხვა ფერად და მასში დასცურავდნენ სიმშვენიერით გატაცებულნი ფრინველნი.

საერთო ჰარმონიას მხოლოდ შავი უზარმაზარი ღრუბელი არღვევდა: გაწოლილიყო ჩრდილოეთით, მოღუშულიყო, წარბი შეეკრა, მრისხანედ დასცქეროდა საერთო მეჯლიშს და ქვეყანას წარღვნას უქადიდა. ქვეყნის კიჟინს, კრულვას და წყევლას ყურს არ უგდებდა; სცდილობდა ფეხი მოემაგრებინა, ზურგ-მისაყუდებელი ეპოვნა. ქარის ზუზუნისთვის ყური მოეყრუებინა. ამაოდ ითხოვდა შველას, ამაოდ უძახდა გაფანტულ ღრუბლებს. გრძნობდა, რომ მისი დღე დათვლილია, მაგრამ ჯიუტობდა. ესმოდა, რომ იქ სადღაც შორს გუგუნი ისმოდა, იცოდა რის მომასწავებელიც იყო ეს ხმა და ფერი მისდიოდა. ტყე-ღრეში დაბადებული მოთმინებიდან გამოსული ამაყი გრიგალი მეხივით ავარდა ცაში, გაექანა ღრუბლისკენ, მაგრამ მისვლა აღარ დასჭირდა, ღრუბელი შიშისაგან გაჰქრა. მზეც დიდებულად ამოცურდა და ქვეყანას სინათლე მოჰფინა.

ს. ციმაკურიძე

## კ ა რ მ ე ლ ა

მოთხრობა ედ. დე-ამიჩისისა

(იტალიურით)

### VII*)

ერთხანს უძრავად იდგა ოთახის შუა გულში, მერე სარკმელთან მივიდა, გააღო, ცოტა უკან დადგა და რამდენისამე წუთის განმავლობაში თვალწინ გადაშლილ მშვენიერ სურათის ცქერით სტკბებოდა. ნათელი და გამსჭვირვალე ღამე იდგა, მყუდრო, სიყვარულის აღმძვრელი. იქვე იშლებოდა ვაკე ნაწილი დაბისა; ხელის გულზე იშლებოდა სახლების სახურავები. განმარტოებული ქუჩებს, ნავთსადგურს, ზღვის ნაპირს, ყოველსავე ამაზე მთვარე თვისს სინათლეს ისე უხვად აფრქვევდა, რომ ძირს დავარდნილს ნემსსაც კი დაინახავდა ადამიანი; ზღვას ხმა გაეკმინდა და მისი ზედაპირი ზეთსავით იყო უნძრეველი, ხოლო შორს, სულ შორს მოსჩანდა სიცილიის მთები, მოსჩანდა ისე მკაფიოდ, გეგონებოდათ, სულ ახლოს არისო. ყოველსავე ამას ზედ ერთვოდა განუსაზღვრელი მყუდროება. „ნეტავ შემეძლოს ამ სანეტარო მყუდროებით მეც დავსტკბეო!“—იფიქრა გულში აფიცერმა, როცა უწდომელ ზღვას თვალი გადაავლო, მერე სარკმელს გადაეყრდნო და გულის ფანცქალით ძირს გადმოიხედა. კარმელა კარის წინ იჯდა.

— კარმელა!—დაუძახა აფიცერმა.

— ტკბილო!

— მანდ რას აკეთებ?

— რას ვაკეთებ?.. გიცდი; განა არ იცი. გელოდები, როდის ამიყვან ზევით. ამაღამ არ გინდივარ?

— ახლავე ჩამოვალ და კარს გაგიღებ.

კარმელამ სიხარულისაგან ხელი ხელს შემოჰკრა და ცმუკვა იწყო. კარი გაიღო, გამოჩნდა აფიცერიც, ხელში სამთელი ეჭირა.

კარმელა შევიდა, ხელიდან სამთელი გამოართვა, წინ გაუძღვა, საფეხურზე ხტუნვით ადიოდა და თანაც ბუტბუტებდა:—წამოდი, წამოდი, საცოდავო...—მერე მობრუნდა და ხელი მოჰკიდა:—ხელი მიეცი შენს გოგონას, ჩემო ლამაზო,—და ორნივე ხელი-ხელ ჩაკიდულნი ავიდნენ კიბეზე.

აფიცერმა თავის პირდაპირ დასვა ქალი და წმიდანის მოთმინებით დაიწყო განმეორება ყოველისავე იმისა, რაც წინა დღეებში სცადა. ახალი საშუალებაც მოიგონა, რამდენჯერმე სცადა ახალის გულმოდგინებით, ახალის თანაგრძნობით; თავი ისე აჩვენა, ვითომ ძალიან უყვარდა, მაზე ამოსდიოდა და ჩასდიოდა მზე და მთვარე, დარდსა და უიმედობას ჰქონდა შეპყრობილი მისი გული და სხ., მაგრამ ამაოდ. ქალი გულდასმით შესცქეროდა და ყურს უგდებდა. როცა აფიცერი ლაპარაკს გაათავებდა, კარმელა ჰკითხავდა:—რა გემართება? —ან და ეტყოდა:—საწყალი ბიჭი! რო იცოდე, როგორ მებრალები!—მერე ხელს გამოართმევდა და ღრმა სიბრალულის ნიშნად ზედ აკოცებდა.

— კარმელა!—წამოიძახა დასასრულ აფიცერმა და გადაწყვიტა ერთი საშუალებაც ეცადნა.

ანიშნა, გვერდთ მოჰიჯექიო. ქალი ნელ-ნელა მოუახლოვდა, თანაც სიყვარულით სავსე სახით შიგ თვალებში ჩა-

*) იხ. „დამატება“, № 303.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართლელი გლეხები









სცქეროდა. ერთბაშად თავი გულზე მიაყრდო, ხელი კისერზე შემოხვია, ტუჩით ტუჩზე მიეკრო და სულშეგუბებულის ხმით ეუბნებოდა:—ძვირფასო! ძვირფასო! ძვირფასო!.. საცოდავმა ახალგაზდამ, აღშფოთებულმა, ცალი ხელი წელზე შემოხვია და ნელ-ნელა, ქალს არც კი შეუმჩნევია ისე, მაგიდის გვერდით ტახტზე მიასვენა... კარმელა ერთბაშად ზეზე წამოიჭრა, სახე მოიღრუბლა, თითქო რაღაზედაც დაფიქრდაო და წაილუღლუღა, ცოტა არ იყოს, ზიზღის კილოთი:

— რას სჩადი?

აფიცერს იმედის ნაპერწკალი მოხვდა და ჩუმად და მოუთმენლად დაუწყო ყურება.

კარმელა ერთ წუთს კიდევ იდგა დაფიქრებული, ანუ, უკეთ, დაფიქრებულს ჰგავდა, მერე ისეთნაირად გაიღიმა, რომ წინად ასე თავის დღეში არ გაღიმნია:—... ახლა მე და შენ ცოლქმარნი ვართ განა?

აფიცერმა ნახევრად წამოიყვირა. თვალები ზევით აღაპრო, ხოლო სალოკი თითის წვერი ტუჩებში დარჩა. ფერწასული, ათრთოლებული ერთ წამს იმას ფიქრობდა, თუ რა პასუხი გაეცა. ამ დროს კარმელამ კედლისაკენ აიხედა და ლურსმანზე ჩამოკიდებული წოწოლა ქუდი დაინახა. საშინლად გადიხარხარა—ჩამოიღო, თავზე დაიხურა და სიცილკისკისით ოთახში ხტომა დაიწყო.

— კარმელა!—შესძახა მწუხარე ხმით აფიცერმა.

ქალმა უარესად აიტეხა სიცილი.

— კარმელა!—ხელმეორედ შეუყვირა ახალგაზდა კაცმა და მიჰვარდა. შემკრთალი ქალი კიბისკენ გაიქცა, კისრის მტვრევით ჩაირბინა, გამოვარდა მოედანზე და თან ხტოდა და თანაც ხითხითებდა.

აფიცერმა სარკმელში თავი გამოჰყო, ერთხელ კიდევ დაუძახა ჩახლეჩილის ხმით,—კარმელა!—შემდეგ სახეზე ხელები მიიფარა და მოცელილივით სკამზე დაეშვა.

## VIII

მეორე დღეს, ადგა თუ არა, ექიმთან წავიდა. ექიმმა მისი გაწითლებული თვალები და ალანძული სახე რო დაინახა, მიხვდა, რჩევისა და გამხნევებისათვის არის მისული ჩემთანაო და დაუწყო ლაპარაკი. მაგრამ აფიცერი ყურს არ უგდებდა და ეტყობოდა, სხვა დარდი აწუხებდა. ერთბაშად გამხიარულდა, შუბლზე ხელი დაირტყა და წამოიძახა:

— შენ ჩემო თავო, ეს ადრე როგორ არ მომაგონდა!

— რა?—ჰკითხა ექიმმა.

აფიცერმა ხმა არ გასცა; აიღო ქაღალდი და კალამი და აჩქარებით წერა დაიწყო. რო გაათავა, წაუკითხა:

„ბატონო აფიცერო!

„პირდაპირ, უწინასიტყვაოდა გწერთ, როგორც ჩვენ, სამხედროთა, გვაქვს ხოლმე ჩვეულებად. ეს თთვენახევარია, ვუფროსობ იმ რაზმს, რომლის უფროსად თქვენ ამ ორის წლის წინად ბრძანდებოდით მკათათთვესა, მარიამობისთთვესა და ენკენისთთვეში. აქ ერთი ქალი გავიცანი; კარმელა ჰქვიან, ასე თვრამეტ-ოცის წლისა იქმნება. ორი წელიწადია, რაც ჭკუაზე შეშლილა და, როგორც ამბობენ, თქვენა ჰყვარებიხართ და გონება იმიტომ დაუკარგავს. კუნძულიდან თქვენის წასვლის შემდეგ რაც მოუვიდა ამ ქალს, იმედი მაქვს, ყველაფერი იცით; ისიც უნდა იცოდეთ, თუ რა ხასიათისაა მისი სიგიჟე, ამიტომ რომ, მითხრეს, აქედან თქვენთვის ყველაფერი მოუწერიათ. ვნახე თუ არა ეს უბედური, მისის საცოდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვობით დავიწყე და ყოველი ღონისძიება ვიხმარე მომერჩინა და დაკარგული გონება დამებრუნებინა. თქვენსავით ვიცვამდი, თქვენსავით ვისწავლე გიტარაზე დაკვრა და სიმღერა, თქვენს ნაცნობებს გამოვკითხე, თუ რა ჩვეულება გქონდათ, ყველაფერი შევითვისე, თავი შეყვარებულად ვაჩვენე, თქვენზე ჩამოვუგდებდი ხოლმე სიტყვას, ერთის სიტყვით, თქვენად გადავიქეცი, მაგრამ ყოველივემ უნაყოფოდ ჩამიარა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯები, როცა დავინახე, რომ ყოველი იმედი ასე გამიცუდდა. ერთი საშუალება კიდევ დამრჩა; მისი ახსნა თქვენს ხელთაა; უარს ნუ მეტყვით; ამისრულეთ თხოვნა; დიდსა და დიდს სიკეთეს გვიზამთ როგორც მე, ისე საცოდავ ქალსაც. ყური დამიგდეთ. ერთი უებარი წამალთაგანი გიჟების მოსარჩენად თურმე ის არის, რომ ყოვლადის დაწვრილებით და ზედმიწევნილის სინამდვილით წარმოუდგინოთ რომელიმე დიდი ამბავი, ავადმყოფობის წინ რომ გადახდათ თავზე, სულერთია, ეს ამბავი პირდაპირი მიზეზი იყო თუ არა,—მნიშვნელობა არა აქვს, მე მგონია, კარმელას რო გავუმეორო სცენა თქვენის წასვლისა, შეიძლება გასჭრას. აქაურებს ბევრსა ვკითხე თქვენის წასვლის ამბავი, მაგრამ დაწვრილებით ვერა გავიგე რა. ის-ღა მითხრეს, რომ წასვლის წინ თქვენს სახლში ვახშამი გაგიმართავსთ და სტუმრად გყოლიათ მოურავი, კარაბინიერების უფროსი და სხვანი. ვახშამზე რა ამბავი მოხდა, ან თქვენ როგორ წახვედით, არავის ახსოვს, ან ძალიან ბუნდად აგონდებათ რამე. სულითა და გულით გთხოვთ ეს სიკეთე მიყოთ, გემუდარებით არ გამაცუდოთ: თქვენს ხელთაა სიცოცხლე და ბედნიერება საცოდავის არსებისა. მომწერეთ, რაც მოგაგონდესთ, მოიგონეთ, ვინ იყვნენ, რას ლაპარაკობდნენ, რასა შვრებოდნენ, ერთის სიტყვით, მომწერეთ ყველაფერი, რაც თქვენსა მოხდა იმ ღამეს. და განსაკუთრებითა გთხოვთ მიამბოთ დაახლოვებით, რომელს საათზე და რომელ წუთს მოხდა საყურადღებო რამ ამბავი, მიამბეთ ყოველივე გარკვევით და დალაგებით. დამავალეთ საუკუნოდ. ეს დიდი სამსახური გამიწიეთ; ამისრულეთ თხოვნა. გემუდარებით, თქვენი ჭირიმეთ. სამარის კარამდე თქვენი მადლობელი ვიქნები. მეტს არაფერს ვუმატებ; იმედი მაქვს თქვენის კეთილშობილის გულისა. მეგობრულად თავს დაგიკრავთ და სალამს გაძლევთ. მშვიდობით“.

— როგორ მოგწონს?—ჰკითხა აფიცერმა.

— ჩინებული აზრია!—უპასუხა ექიმმა, რომელმაც დიდის გულმოდგინებით მოისმინა წერილის შინაარსი.—მისი სახელი ხომ იცი? ხომ იცი, სად მსახურებს?

— მოურავმა ყველაფერი იცის.

— იმედი გაქვს, რომ პასუხს გაგცემს...

— იმედი მაქვს.

პასუხი მოვიდა. რვაგვერდიან წერილში დაწვრილებით იყო აწერილი ამბავი სტუმრებისა, მათის ნამოქმედარისა, ნათქვამისა, როდის რა მოხდა, ერთის სიტყვით ყველაფერი. კარმელას შესახებ-კი ხმა-კრინტს არ იღებდა, თითქოს არც კი ჰყვარებია როდისმე. მხოლოდ ვახშმისა და წასვლის ამბავი იყო აწერილი; პასუხს აძლევდა მხოლოდ იმაზე. რაც ახალგაზრდა კაცმა სთხოვა, ზედმეტს არაფერს, ერთს სიტყვასაც იწერებოდა; იმასაც არ ამბობდა, საცოდავი კარმელა ებრალებოდა თუ არა. ამ მშრალ წერილზედვე ეტყობოდა მისს დამწერს, რომ სინიდისი ძალზე ქენჯნიდა, მაგრამ სინანული მაინც ვერ გაებედნა. წერილის დასასრულ მაინც ეთქვა:—იმედი მაქვს... და სხვაო. სრულებით არაფერი წამოსცდენია. „ნაშუადღევის პირველ საათზე გემი წავიდა. სალამს გიძღვნით.“ და ბოლოს სახელსა და გვარს აწერდა.



**გენერალი გ. ყაზბეგი,**
ვლადივოსტოკის კომენდანტი.

### IX

— ახლა კი მესმის ყველაფერი!—წამოიძახა ექიმმა, როცა აფიცერმა წერილის კითხვა გაათავა;—მესმის, იმ ვახშამზე დამსწრეთაგანმა თუ რატომ არავინ იცის დაწვრილებითი ამბავი მისის წასვლისა. დასწყევლა ღმერთმა! — წამოიძახა და ზეზე წამოდგა.

იმავე დღეს ორნივე მეგობარნი მზადებას შეუდგნენ ახალის საშუალების საცდელად. ორნივე ერთად ჯერ მოურავთან წავიდნენ, მერე მოსამართლესთან, ინახულეს ხარჯთაამკრეფი, კარაბინიერების უფროსი და სხვები, ვისაც დასა-



**პოდპორ. ალ. მ. გედევანიშვილი,**
მუკდენის ბრძოლაში უკვალოდ დაკარგული.



**ალექსანდრე ესტ. იოსელიანი,**
მუკდენის ბრძოლაში დაჭრილი.



**პოდპორ. გიორგი მირზაშვილი,**
მუკდენის ბრძოლაში დაჭრილი.

ხელებულ პირებთან შინაურული დამოკიდებულება ჰქონდათ. ექიმმა მეცნიერება მიიშველია, ხოლო აფიცერმა—კაცთ-მოყვარული გრძნობები და ყველას გააგებინეს თავიანთი განზრახვა. ყველამ დახმარება აღუთქვა და იმათაც აუხსნეს, ვის რა უნდა ექნა.—მადლობა ღმერთს!—წამოიძახა აფიცერმა, როცა ხარჯთ-ამკრეფის სახლიდან გამოვიდა;—ყველასთან მივედით; თავი და თავი გასაკეთებელი გაკეთებულია.

მერე კარმელას დედასაც შეატყობინეს თავიანთი განზრახვა. ამას იმდენი ლაპარაკი არ დასჭირებია, რამდენიც მოურავსა და სხვებს დასჭირდათ. მართალია, ყველანი კეთილი ხალხი იყო, მაგრამ დიდი შრომა შეიქმნა საჭირო, რომ აფიცერს მათთვის გაეგებინებინა მთელი მნიშვნელობა განზრახულ საქმისა.

კარმელა, ეს რამდენიმე დღე იყო, უქეიფობდა და სახლიდან თითქმის არ გამოდიოდა. მის სანახავად ექიმი და აფიცერი ერთად წავიდნენ. ქალი მიწაზე იჯდა კარს გარედ, თავი კედელზე მიეყრდნო. მისულები რო დაინახა, წამოდგა და უფრო ნაკლების ხალისით, ვიდრე ჩვეულებადა ჰქონდა ხოლმე, აფიცრისაკენ გაემართა და ჩვეულებისამებრ მოინდომა ეკოცნა, თანაც თავისი ჩვეულებრივ საალერსო სიტყვებით მოეფერა.

— კარმელა,—უთხრა აფიცერმა,—ახალი ამბავი უნდა გითხრათ.

— ახალი ამბავი, ახალი ამბავი, ახალი ამბავი,—განიმეორა ნაზად ქალმა და ხელის გული სამჯერ მოუსვა აფიცერს ლოყებზე.

— ხვალ აქედან მივდივარ.

— ხვალ აქედან მივდივარ?

— არა, მე მივდივარ აქედან, მე. აქაურობას თავს ვანებებ. ჩემი სალდათები ყველანი თან მიმყავს. გემზე დავჯდები და ისიც აქედან შორს წამიყვანს, ძალიან შორს.

და აფიცერმა ხელი აიშვირა, რომ ეჩვენებინა დიდი მანძილი.

— შორს, შორს...—წაილუღლუღა კარმელამ და მიიხედა იმ მხრისაკენ, აფიცერმა რომ ანიშნა. თითქო ერთხანს დაფიქრდაო, მერე გულგრილის კილოთი წარმოსთქვა:—ორთქლმავალი გემი... კვამლს რომ უშვებს ხოლმე...

## მოწაფენი და მასწავლებელნი



წინად ახლა

ქალმა მოინდომა ხელახლა ეკოცნა აფიცრისათვის და საალერსო სიტყვებიც განიმეორა.

— არ გასჭრა! — იფიქრა აფიცერმა და თავი ჩააქნია.

— საჭიროა რამდენჯერმე განუმეორო, — წასჩურჩულა ექიმმა.—მერე კიდევ ვუთხრათ. ვნახოთ, რა იქნება.

ორნივე გაუწყრნენ ქალს, ჩვენთან ერთად რატომ შენც არ მოდიხარო, და მოშორდნენ.

თ. ს.

(შემდეგი იქნება)



გაფიცვა ავჭალის ტრამვაის ცხენებისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი